ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2268809

ნომერი: AR1351829

თარიღი : 26.10.2015

გაცემის თარიღი : 29.10.2015

გაცნობის თარიღი : 02.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კვიკვინია პ/ნ 61003008000
- ბათუმი თამარ მეფის დას. N 5 ბ. 7

ორგანიზაცია:
- შპს "კავკასუს ონლაინი" კოდი: 211380833

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. ინტერაქტიულ რუკაზე პოლიგონი მონიშნულია #01.00.637 ხაზოვანი ნაგებობის გავრცელების არეალში და არა AR1351718 განაცხადით განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ინტერაქტიულ რუკაზე პოლიგონი მოინიშნოს უშუალოდ საპროექტო არეალში (არალეთის ქუჩაზე, #10 ნუმერაციით განსაზღვრულ ჭაზე).

2. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება" გრაფაში აიტვირთოს შ.პ.ს. "კავკასუს ონლაინი"–ს დირექტორის მინდობილობა (დამოწმებული შესაბამისი ფორმით) ან აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ნიკოლოზ ჭიაურელი დაარეგისტრირეთ თანაგანმცხადებლად.

3. „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“–ს ველში აიტვირთოს საპროექტო ტერიტორიის ამსახველი ფოტოსურათი (მანქანის გარეშე), ხოლო „ფოტომონტაჟი“–ს ველში აღნიშნული ფოტოსურათის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.